

როინ მეტრეველი



ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, მედიევისტი კავკასიოლოგი. მეცნიერების დოქტორი (1974 წ.), პროფესორი (1977 წ.), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი (1993 წ.). დაიბადა 1939 წ. 7.XII. დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1962 წ.). არის პირველი ქართული ეროვნული უნივერსალური ენციკლოპედიის ერთ-ერთი გამომცემელი და რედაქტორი (1972 – 1985 წწ.).

1985 – 88 წწ. იყო ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, 1988 წ. აირჩიეს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად - ამავე წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, 1991 – 2005 წწ. - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე (1997 – 2005 წწ.). 2005 წლიდან 2013 წლამდე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანია; 2007 წლიდან

საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტის პროფესორი; 2013 წლის ოქტომბრიდან დღემდე მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

რ. მეტრეველი არის კალიფორნიის (აშშ, სან-ფრანცისკო) ხელოვნების, მეცნიერებისა და განათლების საერთაშორისო აკადემიის წევრი (1996 წ.), უმაღლესი განათლების საერთაშორისო აკადემიის (რუსეთი, მოსკოვი) წევრი (1997 წ.), ევროპის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის (ავსტრია, ზალცბურგი) ნამდვილი წევრი (2009 წ.), 1996 – 2004 წწ. - საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი (1996 წ.), სახალხო (სამოქალაქო) დიპლომატიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი (არჩეულია უვადოდ 2008 წ.), ახალგაზრდა დიპლომატთა საერთაშორისო ასოციაციის საპატიო წევრი. პოლიტიკურ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი (2013 წ.) ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი (2004 წ.). 1991 წლიდან ჟურნალ „მაცნეს“ (ისტორიის სერია) რედაქტორი, წელიწდეულების „ქართული დიპლომატია“ (გამოცემულია 18 ტომი) და „კავკაზიკის“ (გამოცემულია 7 ტომი) მთავარი რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის თავმჯდომარე (1995 წ.), ჟურნალ „გეორგიკას“ (გერმანია - საქართველო) სარედაქციო კოლეგიის წევრი (1997 წ.). საერთაშორისო ჟურნალის „კავკასია და გლობალიზაცია“ (ქ. სტოქჰოლმი, ინგლისურ ენაზე) სარედაქციო კოლეგიის წევრი (2009 წ.). საერთაშორისო ჟურნალ „Историческое пространство“ კოლეგიის წევრი (2007 წ.), აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1996 წ.), მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერების დარგში (1988 წ.), ივ. ჯავახიშვილის

სახელობის საუნივერსიტეტო (1999 წ.) და სააკადემიო (2010 წ.) პრემიები; ა. წერეთლის სახელობის პრემია (2000 წ.). შოთა მესხიას სახელობის პრემია (2012 წ.). 2002 წლიდან - საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტია; დაჯილდოებულია სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით. 2003 წელს დაჯილდოვდა საერთაშორისო აკადემია (სარეიტინგო) „ფორტუნას“ წმინდა გიორგის მედლით, ღირსების ორდენით (1998 წ.), ფრიტოფ ნანსენის მედლით (2000 წ.), ექვთიმე თაყაიშვილის დიდი მედლით (2003 წ.), ფილიპე გოგიჩაიშვილის მედლით (2003 წ.), 2001 წელს - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ჯილდოთი - ოქროს ჯვრით, 2011 წელს - საპატრიარქოს უმაღლესი ჯილდოთი - წმინდა გიორგის ოქროს ორდენით. არის თბილისის (1999 წ.), ქუთაისის (1996 წ.), ბორჯომისა (2000 წ.) და იყალთოს (1991 წ.) საპატიო მოქალაქე, თბილისის საპატიო მასწავლებელი (1999 წ.), ა. წერეთლის სახელობის ქუთაისის, სოხუმის, ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის, სამცხე-ჯავახეთის (ახალციხის), მ. ნალბანდიანის სახელობის გიუმრისა (2000 წ.) და დონის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტების საპატიო პროფესორი. როგორც პარლამენტარმა, ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს (1991 წ. 9 აპრილი).

როინ მეტრეველი იკვლევს საქართველოსა და კავკასიის ისტორიის, წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის, საზოგადოებრივი აზრისა და დიპლომატიის ისტორიის საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი ნაშრომი, რომელთა შორის 12 მონოგრაფიაა. არის საქართველოს ისტორიის უმაღლესი და საშუალო სკოლების სახელმძღვანელოების ავტორი.

Roin Metreveli

Georgian scholar and statesman, historian, medievalist, Caucasiologist. Doctor of Science (since 1974), Professor (since 1977), real member of the Georgian National Academy of Sciences (since 1993).

Roin Metreveli was born on December 7, 1939; graduated from Tbilisi State University, Faculty of History (1962). Dr. Metreveli is an editor and publisher of the Georgian National Universal Encyclopedia (1972-1985).

In 1985-1989 Dr. Metreveli was the rector of A. S. Pushkin Tbilisi Teacher Training Institute. In 1988, was elected a Corresponding Member of the Georgian National Academy of Sciences; in the same year he served as the academician-secretary of the Department of Civil Sciences of the National Academy of Sciences; in 1991-2005, Rector of Tbilisi State University; head of the Chair of History of Georgia (1997-2005). In 2005-2013, Dr. Metreveli served as the secretary of the Department of Civil Sciences of the National Academy of Sciences; since 2007, Professor at the Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia; since 2013 until present, Vice-President of the Georgian National Academy of Sciences.

R. Metreveli is a member of California Academy of Art, Science and Education (1996); a real member of the International Academy of Higher Education (Russia, Moscow) (since 1997), European Academy of Science and Art (Austria, Salzburg); in 1996-2004, Dr. Metreveli was the Chairperson of the Council of Rectors of the Georgian Higher Education Institutions; President of the National Committee of Georgian Historians (1996); Ambassador Extraordinary and Plenipotentiary of Public (civil) Diplomacy (was elected permanently in 2008);

an honorary member of the International Association of the Young Diplomats; President of the National Academy of Political Sciences (2013); Academician at the Academy of the National and Social Relations (2004). From 1991, editor of Matsne (history series); chief editor of annual publications “Georgian Diplomacy” (18 volumes published) and “Caukasika” (7 volumes published); head of the Commission of the Georgian Historical Sources (1995); member of the editorial board of Georgika (Germany-Georgia) (1997); member of the editorial board of the international journal Caucasus and Globalization (Stockholm, in the English language) (2009); member of the collegium of the international journal „Историческое пространство” (2007); honored scientist of the Science of Autonomous Republic of Abkhazia (1996).

Dr. Metreveli is awarded Georgian State Award in Science (1988), Iv. Javakhishvili University (1999) and Academy awards (2010); A. Tsereteli award (2000), Shota Meskhia award (2012). Since 2002, Roin Metreveli has been the President of Georgia-Israel Friendship Group; has been awarded state orders and medals. In 2003, St. George’s Medal of the International Academy Fortuna; Order of Honor (1998), Fridtjof Nansen Medal (2000), Equitime Takaishvili Great Medal (2003), Philippe Gogichaishvili Medal (2003); in 2001, the Georgian Orthodox Church award – St. George’s Gold Order.

Dr. Metreveli is an honorary citizen of Tbilisi (1999), Kutaisi (1996), Borjomi (2000) and Ikalto (1991); an honorary Teacher of Tbilisi (1999); Professor Emeritus of Kutaisi A. Tsereteli University, Sokhumi University, Gori N. Baratashvili University, Samtskhe-Javakheti (Akhaltzikhe) University, Giumri M. Nalbandian and Doni State Technical Universities. In the capacity of the Member of the Parliament of Georgia, Dr. Metreveli signed the act of restoration of independence of Georgia (April 9, 1991).

Roin Metreveli has been studying the history of Georgia and Caucasus and the issues of source studies and historiography, public opinion and diplomacy. He has published over 200 papers, of which 12 are monographs. He is the author of history textbooks for secondary schools and higher education institutions.